ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მაჟორიტარი წევრის ნინო ლაცაბიძის 2020 წლის ანგარიში

2017 წლიდან დღემდე ვარ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს წევრი.

- ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი:

- გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი .

- ფრაქცია " ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო " - ს ფრაქციის წევრი.

. 2019 წლის აგვისტოს თვიდან ვარ ეკონომიკური განვითარებისა და საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარე .

საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობა

2019 წლის 1 ნოემბრიდან 2020 წლის 1 ოქტომბრის ჩათვლით

ჩატარდა 17 საკრებულოს სხდომა და 19 ბიუროს სხდომა

დავესწარი 14 სხდომას

მიღებულ იქნა 134 დადგენილება და 388 განკარგულება

ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისია

ჩატარდა კომისიის 11 სხდომა

დავესწარი 7 სხდომას

განხილული იყო 11 საკითხი

- 2019 წლის ნოემბრიდან დღემდე , ჩატარებული, საკრებულოს,ჯანმრთელობის

დაცვის და სოციალურ საკითხთა 14 კომისიის სხდომიდან , დავესწარი 9

სხდომას,სადაც განვიხილეთ 23 საკითხი .

 საანგარიშო პერიოდში სულ შემოსულია 387 საკითხი .

.ფრაქცია " ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსათვის " , ჩატარებული სხდომების რაოდენობა შეადგენს 16 , ხოლო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების რაოდებობა 21 . დავესწარი 16 სხდომას ,ჩემს მიერ განხილული საკითხების რაოდენობა შეადგენს 21-ს .

მოსახლეობასთან ურთიერთობა

მე როგორც საკრებულოს წევრი, განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობ მოქალაქეთა მიღებას და მათი პრობლემების შესწავლის საკითხს,მოქალაქეების მიღება წარმომადგენლობაში არა მხოლოდ სამუშაო კვირის ერთ კონკრეტულ დღეს , არამედ კვირის ნებისმიერ დღეს ხორციელდება , გარდა ამისა სისტემური ხასიათი აქვს კონკრეტულ მისამართებზე გასვლას და პრობლემების ადგილზე შესწავლას .

მოქალაქეებთან შეხვედრებისას წარმოჩენილი პრობლემატიკა სხვადასხვა ხასიათისაა : სოციალური,ჯანდაცვის,ურბანული და ინფრასტრუქტურული,კულტურულ-საგანმანათლებლო.

ყოველ კონკრეტულ საკითხს ზედმიწევნით განვიხილავ , ყველა მოქალაქეს გაეწია სხვადასხვა სახის კონსულტაცის,დახმარება ან/და შუამდგომლობა:

მოქალაქეებთან აქტიური შეხვედრები მაძლევს საშუალებას ვიცოდე რეალური პრობლემები,ხელი შევუწყო საკითხებზე დროულ რეაგირებას და ქმედითად ვიმუშაო მთელ გუნდთან ერთად.

2019 წლის ოქტომბრიდან დღემდე რაიონის მაცხოვრებლებთან , წარმომადგენლობით ოფისში მიღებულ იქნა 327- მოქალაქე .

ჩემს სამაჟორიტარო ოლქში დაახლოებით 13 000 სოციალურად დაუცველი მოქალაქეა,აქედან გამომდინარე მომმართვიანობა დიდია სხვადასხვა სახის შუამდგომლობის გაწევის თხოვნით.

ერთჯერად ფინანსურ დახმარებაზე,მედიკამენტებით უზრუნველყოფაზე,ქირურგიული ოპერაციული მკურნალობის

ხელშეწყობაზე,სამშენებლო მასალაზე,ასევე იყო სხვადასხვა კოლექტიური განცხადებები,როგორც ბინის ქირით დაკმაყოფილების ასევე სხვადასხვა კერძო კომპანიებთან შუამდგომლობების მოთხოვნაზე.

ჯამში შუამდგომლობები შეადგენს 120-ს.

მიზნობრივი ფულადი დახმარება გაეწია 85 - მოქალაქეს:

მედიკამენტებით დაკმაყოფილდა 26 - მოქალაქე :

მკურნალობა , დიაგნოზტიკა , ოპერაცია , გამოკვლევების მოთხოვნით შუამდგომლობა გაუწიეთ 8 -მოქალაქეს .

მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მომართავდა სამსახურის დაწყების მიზნით , რეკომენდაცია გაუწიე 5 ადამიანს და მათ დაიწყეს მუშაობა სხვადასხვა სახელმწიფო სამსახურში .

.მიწის ლეგალიზება,დაკანონების საკითხი.

მოქალაქეთა მომმართვიანობა ამ კუთხით აქტიურია,მათი ძირითადი პრობლემა წარმოადგენს პროცესის სწორი მიმართულებით წარმართვას,საჭირო საბუთების შეგროვებას,მათ უწევთ სათანადო კონსულტაციას,დახმარება გაუწიეთ 27 ადამიანს.

ვფიქრობ ქალაქის ბიუჯეტის სწორად დაგეგვმაში მოსხლეობის ინტერესების გათვალისწინება უპირობოდ მნიშვნელოვანია , სწორედ ამიტონ 2019 წლის სექტემბრის თვეში , ორი კვირის განმავლობაში ყოველ დღიურ რეჟიმში გავდიოდით კონკრეტულ მისამართზე და ვხვდებოდით ადგილობრივ მოსახლეობას , ვისმენდით და ვინიშნავდით მათ პრობლებს , საკითხები პრიორიტეტების მიხედვით შევარჩიეთ ადგილობრივ გამგეობასთან ერთად და ქალაქის 2020 წლის ბიუჯეტში გავითვლისწინეთ .ასეთი შეხვედრები ჯამში შეადგენს - 34-ს .

მოგეხსენებათ , რომ ქვეყანაში განვითარებული ეპიდ-სიტუაციიდან გამომდინარე შევიზღუდეთ მოქალაქეების მიღებისგან წარმომადგენლობით ოფისებში , სწორედ ამიტომ კიდევ უფრო ხშირად გავდიოდი კონკრეტულ მისამართებზე და ღია სივრცეში ვახდენდით პრობლემების იდენტიფიცირებას , ასეთი გასვლითი შეხვედრები შეადგენდა 25 - ს .

პანდემიის პერიოდში სახელმწიფომ ბიზნეს სექტორთან ერთად უმნიშვნელოვანესი კამპანია დაიწყო , როგორც მარტოხელა სოციალურად დაუცვლი მოხუცების , ასევე მრავალშვილიანი ოჯახების (ოთხი და მეტი შვილი) მიმართ , აქტიურად ვიყავი ჩართული აღნიშნულ კამპანიაში და ყოველდღიურ რეჟიმში ჩემს სამაჟორიტარო ოლქში მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებს და ასევე სოციალურად დაუცველ მარტოხელა მოხუცებს ვეხმარებოდით პროდუქტებითა და პირველადი მოხმარების ნივთებით .

პანდემიის პერიოდში , ჩემს სამაჟორიტარო ოლქში , 139 მრავალშვილიან ოჯახს , ორ ეტაპად დავეხმარეთ პროდუქტებითა და პირველადი მოხმარების ნივთებით .

ასევე აქტიურად ვიყავით ისნის რაიონის გამგეობასთან ერთად ჩარტულები წითელი ჯვრის კამპანიაშიც , დაახლოებით 200 სოციალურად დაუცველ მარტოხელა მოხუცს დავეხმარეთ პროდუქტებითა და პრველადი მოხმარების ნივთებით 3 ეტაპად .

ინიცირება :

1) მრავალშვილიანი ოჯახების მხარდაჭერისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით , ქალაქ თბილისის საკრებულოში გავმართეთ შეხვედრა მრავალშვილიანი დედების ორგანიზაცია „ გენი ქათულის „ - ს წევრებთან .

მათ გავაცანით ჩვენი სამომავლო გეგმები და ასევე მოვისმინეთ მათი რეკომენდაციები .

ამის შემდეგ დავაინიცირე პირველი ცვლილება :

წარდგენილი პროექტით ცვლილება შევიდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლანდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების , სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის , მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლანდელი აღრზდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციის და მიღება-ამორიცხვის წესში , რითაც განსაზღვრული იქნება მრავალშვილიანი მშობლების სკოლანდელი აღზრდის ბავშვების საჯარო დაწესებულებებში რეგისტრაცია , საყოველთაო რეგისტრაციის პირველ ეტაპზე .

2) მეორე ცლილება :

წარდგენილი პროექტით ცვლილება შევიდა , ბიუჯეტით გათვალისწინებული

ქვეპროგრამის „სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები რაიონებში“ ფარგლებში მოქალაქეთათვის დახმარების გაცემის წესის მე-2 მუხლის მე-9 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ ქვეპუნქტი:

„თ) მრავალშვილიანი ოჯახები“.

პროექტი გულისხმობს , რომ მრავალშვილიანი სტატუსის მქონე ოჯახები , ისარგებლებენ იმ შეღავათებით რითაც სარგებლობენ სხვა პრიორიტეტულ ჯგუფში შემავალი ბენეფიციარები .

ეზოების,ქუჩების,სკვერების მოწყობა,რეაბილიტაცია.

. 2020 წელს ჩემს სამაჟორიტარო ოლქში მოეწყო 3 სკვერი,განახლებითი სამუშაოები ჩაუტარდა 12 სკვერს .

. ასევე გზის საფარი დაიგო 13 ქუჩაზე .

. სანიაღვრე სისტემა სრულად გაიმართა 3 მისამართზე .

. ფიტნეს სივრცე მოეწყო 3 მისამართზე .

. სპორტული მოედანი მოეწყო 1 მისამართზე .

. საბავშვო ატრაქციონბი მოეწყო 7 მისამართზე .

აღნიშნულ სამუშაოებში პირადად ვიყავი ჩართული ,რაც მოიცავს ადგილზე სამუშაოების და ხარისხის კონტროლს.

განსაკუთრებული ყუდადღება მინდა გავამახვილო იმ პრობლემურ საკითხზე რაც სამწუხაროდ არსებობს ჩვენს რეალობაში , შეზღუდული შესაძლებლობის პირებისათვის საკმაოდ მძიმეა არაადაპტირებულ გარემოში ცხოვება , კიდევ უფრო მძიმეა სიტუაცია მაშინ როცა ასეთი მოქალაქე ცხოვრობს მაღალ სართულზე , ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N – 41-ში , მოვაწყეთ შეხღუდული შესაძებლობის პირისათვის ლიფტი .